საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-242

ქ. თბილისი "25" 05 2010 წ.

შპს „ენერგოტრანსი"-ს „შავი ზღვის 500/400კვ-იანი რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №30; 25.05.2010წ „შავი ზღვის 500/400კვ-იანი რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის საპროექტო დოკუმენტაციაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. შპს „ენერგოტრანსმა" უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „ენერგოტრანსი"-ს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილი №29/776/6-10; 28.04.10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №30; 25.05.2010წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, შპს „ენერგოტრანსს"